საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სტუ
ეროვნული ძალისა...
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

მეორადობის პრობლემა არქიტექტურაში

თემის ხელმძღვანელი: ვახტანგ დავითაია
სტუდენტი: გიორგი ცუცქირიძე

2016 წ

რა არის **მეორადობა** და ცალსახად შეგვიძლია თუ არა ვუწოდოთ გარკვეულ არქიტექტურულ ნაწარმს **მეორადი**?

არქიტექტურა უხსოვარი დროიდან კაცობრიობის განუყოფელი ნაწილი იყო. იგი დროდადრო ვითარდებოდა და ვრცელდებოდა, თუმცა ძველი არქიტექტურული მაგალითებით რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია:

არქიტექტურის ჩამოყალიბებაში და განვითარებაში უმთავრესი როლი ჰქონდა კონკრეტული რეგიონის ბუნებრივ გარემოს(კლიმატი, რელიეფი...) რაც თავისთავად აყალიბებდა იქ მცხოვრებთა ცხოვრების წესსაც. შემდგომში, არქიტექტურა, ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, იხვეწებოდა ადამიანთა კულტურული და მენტალური განვითარების თანმიმდევრულად. იძენდა სხვადასხვა გამომსახველობით ფორმას და ამით გამოხატავდა კონკრეტული რეგიონის, ქვეყნისა თუ კონტინენტის პორტრეტს. დროდადრო ხდებოდა უფრო მრავლისმთქმელი, ვინაიდან საზოგადოების ცხოვრების წესიც მრავალფეროვნებისკენ იცვლებოდა.

რაც შეეხება ძველი პერიოდის არქიტექტურულ ნამუშევრებს, მათზე საუბრისას ნაკლებად გამოგვადგება ტერმინი "მეორადობა". მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მასშტაბით, "ხალხური" არქიტექტურის მაგალითები ერთი მეორის "მიბაძვით" იქმნებოდა, არასწორი იქნება ამ პროცესს პლაგიატი ან რაიმე მსგავსი ვუწოდოთ. უფრო კორექტული იქნება თუ ამ ბუნებრივ პროცესს ტრადიციას, ან უბრალოდ მშენებლობის ხერხის დამკვიდრებას დავარქმევთ, ხოლო მსგავს ხალხურ პროექტებს - "ტრადიციულს".

რომაული არქიტექტურის აღმოცენებას ბერძნული ფესვებიდან შეგვიძლია გარკვეულწილად არაეთიკურობის იარლიყი მივანიჭოთ, თუმცა მეორესმხრივ არქიტექტურის ისტორიას ამ "არაეთიკურმა" ქმედებამ უდიდესი საგანძური დაუტოვა. ამიტომ დღეს ამ ყველაფერს ბერძნულ-რომაული არქიტექტურის განვითარების ეტაპებად აღვიქვამთ.

ქართულ ხუროთმოძღვრებაშიც მოიძებნება კონკრეტული ნამუშევრის სხვა ადგილას განმეორების მაგალითები. ასეთია ატენის სიონი, რომელიც მე-7 საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება და წარმოადგენს მცხეთის ჯვრის(მე-6 საუკუნე) მიახლოებულ ასლს. როგორც ცნობილია, მცხეთის ჯვარი იდეალურად არის შერწყმული გარემოსთან და ყველაფერთან ერთად ლანდშაფტური არქიტექტურის ძვირფას ძეგლსაც წარმოადგენს. ერთის მხრივ გაგვიჭირდება მოვიაზროთ ეს ეკლესია სხვა სახის გარემოში, თუმცა ატენის სიონის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თავად ნამუშევრის პროპორციები იმდენად კარგია, რომ ის ჰარმონიულად ერწყმის ატენის ხეობის გარემოსაც. რთულია ამ გადაწყვეტილებას "მეორადობა" ვუწოდოთ. ვფიქრობ, მხოლოდ ატენის სიონის ნახვა რომ შეგვეძლოს, ხოლო ჯვრის შესახებ წარმოდგენაც კი არ გვქონდეს, უდავოდ მივიჩნევდით მას ღირებულ არქიტექტურულ ძეგლად და არ გაგვიჩნდებოდა შეგრძნება, რომ იგი არაკონტექსტურია გარემოსათვის.

მეორე ხაზგასასმელი მაგალითი, რომელიც აგრეთვე ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ნიმუშია, არის ქაშვეთის ტაძარი რუსთაველის ქუჩაზე. მოგეხსენებათ, ის წარმოადგენს სამთავისის ტაძრის(მე-11 საუკუნე) ასლს. ქაშვეთი აიგო 1904-10 წლებში გერმანელი არქიტექტორის, ლეოპოლდ ბილფელდის მიერ. მან განზრახ, ნიმუშად აიღო სამთავისის ტაძარი. ქაშვეთში ნაწილობრივ გამოყენებულია ძველი ქართული ხელოვნებისთვის არადამახასიათებელი, ეკლექტიკური ელემენტები თუმცა მთლიანობაში ტაძარი კარგად ჩაეწერა გარემოში და დედაქალაქისთვის მნიშვნელოვანი როლი მოირგო.

შედარებით თამამად, თუმცა მაინც მოკრძალებით შეგვიძლია ვისაუბროთ მე-19 საუკუნის მსოფლიოს არქიტექტურულ ძიებებზე, რომლებიც მე-20 საუკუნის დასაწყისსაც გადმოსწვდა. ასეთებია ნეო-კლასიციზმი, ნეო-გოთიკა, ნეო-ბაროკო და სხვ. ამ გამომსახველობითი ხერხებით ავტორები ცდილობდნენ ხელახლა აღმოეჩინათ და წინ წამოეწიათ უკვე მივიწყებული არქიტექტურული სტილები, მაგრამ სინამდვილეში ეს პროცესი ერთგვარ შემოქმედებით კრიზისს ასახავდა.

როდესაც ვსაუბრობთ <u>მეორადობაზე</u> არქიტექტურაში, ვფიქრობ ძირითადი ყურადღება მე-20 და 21-ე საუკუნეებზე უნდა გავამახვილოთ. ვგულისხმობ მე-20 საუკუნის გვიანდელ პერიოდს, როდესაც არქიტექტურული სტილების ჭიდილი და ფორმათა ძიებების ციებხელება მიიწურა. ამ დროს იჩინა თავი იმავე პრობლემებმა, რომლებმაც ალბათ მე-19 საუკუნეში "ნეო-სტილების" მოზღვავება გამოიწვია.

დღევანდელ დღეს კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა მეორადობის პრობლემა არქიტექტურასა და ხელოვნებაში. ამის გამომწვევი მრავალი მიზეზის დასახელება შეიძლება. ერთ-ერთი არის, უკვე დიდი ხნის წინ დაწყებული, გამომსახველობითი ფორმის ძიების ერთგვარი კრიზისი, რაც საკმაოდ ბუნებრივია, გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიომ დღემდე უკვე მრავალი არქიტექტურული სტილი და ფორმა გამოსცადა საკუთარ თავზე.

ასევე სავარაუდო მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ ტექნოლოგიური განვითარების უარყოფითი როლი, რაც თავისთავად როგორც არქიტექტურულ გადაწყვეტებზე, აგრეთვე გარეგნულ მხარეზეც მკვეთრად აისახება. სწორედ ტექნოლოგიური წინსვლა აძლევს თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიას საშუალებას ერთნაირი შენობები დააპროექტონ დედამიწის ორ უკიდურესად განსხვავებულ(გეოგრაფიულად, ბიო-კლიმატურად და ა.შ) წერტილში და ფასი დაუკარგონ რეგიონალიზმს. ამას ემატება გლობალიზაციისკენ არაჯანსაღი სწრაფვა, რაც თავისთავად არა ყველაფრის გაერთფეროვნებას, არამედ რეგიონების მიხედვით იდენტობის შენარჩუნებას უნდა გულისხმობდეს.

კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც აგრეთვე საგულისხმოა, არის ინფორმაციის მიმოცვლის სისწრაფე და სიმარტივე. ყველაფერ დადებითთან ერთად, ამ ტექნოლოგიურმა წინსვლამ გაამარტივა პლაგიატის ჩადენა. ჩვენს დროში უკვე წარმოუდგენელია ხელმისაწვდომი არ იყოს ინფორმაცია და ვიზუალური მასალა მნიშვნელოვან არქიტექტურულ ნამუშევრებზე. ეს კი თავისთავად უარყოფითად აისახება არქიტექტურაზე მსოფლიოში. გამომდინარე იქიდან, რომ მთელს რიგ ქვეყნებში არ არსებობს საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმები, თავისუფლად შენდება ნებისმიერი სახის მეორადი

არქიტექტურა. ეს თავისთავად ზიანს აყენებს ნამდვილ ავტორს და მის ნამუშევარს.

საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმები

არსებითად მსგავსი შენობების აშენება ნებართვის გარეშე საავტორო უფლებების დარღვევად მიიჩნევა.
1990 წელს, 101-ე კონგრესმა გამოსცა აქტი არქიტექტურული ნამუშევრების საავტორო უფლებების შესახებ, რომელიც ნათლად ისახავს მიზნად საწყისი დიზაინერის საავტორო უფლებების დაცვას ყველა ფორმით, მათ შორის გეგმარების, ჩანახატებისა და თავად შენობის. ეს ნიშნავს, რომ მშენებელი პასუხისმგებელია დარღვევისთვის, მიუხედავად იმისა თუ რა ფორმით არის ესა თუ ის შენობა მიმსგავსებული. აქედან გამომდინარე მშენებლებმა, არქიტექტორებმა და მფლობელებმა არ უნდა მიმართონ "მიბაძვის" რაიმე ფორმას, რომელმაც შეიძლება ეჭვი გამოიწვიოს საზოგადოებაში.

გეგმარებაში მცირე ცვლილებები არ არის საკმარისი საავტორო უფლებების თავის ასარიდებლად.
სასამართლოები ძირითადად მიმართავენ რამდენიმე ტესტირების მეთოდს, რათა გამოარკვიონ არქიტექტურული ნამუშევრის ორიგინალობა. თითოეული ტესტის მიხედვით, სასამართლო ამოწმებს "მსჯავრდებული" ნამუშევარი რამდენად არსებითად ჰგავს ორიგინალს.
პირველი ტესტი – საერთო შესახედაობა და შეგრძნება/სრული კონცეპტი
ხდება ნამუშევრების შედარება მათი მთლიანობის მიხედვით, ჩვეულებრივი დამკვირვებლების მიერ, რათა გაირკვეს მათი პირველადი მსგავსება. მცირე განსხვავებები ორიგინალისგან, რომლებიც არ ახდენს გავლენას საერთო შესახედაობაზე და შეგრძნებაზე, არ გაათავისუფლებს "მსჯავრდებულს" პასუხისმგებლობისგან.

მეორე ტესტი – ფილტრაციის ტესტი
სასამართლო ფილტრაციის გზით გამორიცხავს ნამუშევრის არა-ორიგინალ ნაწილებს მანამ, სანამ გამოიკვლევს ორიგინალურ, განსხვავებულ დასაცავ ნაწილს, რათა განსაზღვროს მათი შესამჩნევი მსგავსება-განსხვავებულობა.

ტესტირების მიხედვით, ისეთ ფუნქციურ ელემენტებს როგორებიცაა ფანჯრები, კარები და სხვა ზედაპირული დეტალები, არ გააჩნია რაიმე ძალა "მეორადი" არქიტექტურული ნამუშევრის დასაცავად.

ა.შ.შ-ში საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმი ეფექტურად მოქმედებს. არქიტექტორებს და დიზაინერებს, ისევე როგორც სხვა მრავალი სპეციალობის

შემოქმედებს, შესაძლებლობა აქვთ მარტივად, ონლაინ რეჟიმშიც დაარეგისტრირონ საკუთარი ნამუშევრები.
ამერიკაში, პლაგიატისგან თავის დასაცავად, ავტორმა ნამუშევრის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში აუცილებელია დაარეგისტრიროს საკუთარი ნაშრომი.
პრაქტიკაში ხშირად არის ხოლმე შემთხვევები, როდესაც დამკვეთი ხდება გაუგებრობის მიზეზი.
იქიდან გამომდინარე, რომ დამკვეთს ხშირად შეხება აქვს სხვადასხვა არქიტექტორებთან და მათ ნამუშევრებთან, ის ხშირად არ ითვალისწინებს პლაგიატის საფრთხეს და თავისუფლად უზიარებს რომელიმე არქიტექტორის ნამუშევარს(კონცეფციას, ესკიზს) სხვა "კონკურენტ" არქიტექტორებს. ამის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ იმ ინფორმაციის არ ქონა, რომელიც მოიაზრებს არქიტექტურულ ნაშრომზე საავტორო უფლებების უპირობო არსებობას, მიუხედავად იმისა არის თუ არა ნამუშევარი რეგისტრირებული და აქვს თუ არა მინიჭებული საავტორო უფლებების ნიშანი ©.

მსგავსი სიტუაციებისთვის, განსაკუთრებით კონკურსების შემთხვევაში, დამახასიათებელია კონტრაქტის სპეციფიკური ხასიათი, რომელიც მოიაზრებს ისევე როგორც ნაშრომის, აგრეთვე მასზე საავტორო უფლებების გასხვისებას გარკვეულ თანხად. ასეთ შემთხვევაში დამკვეთს ეძლევა უფლება გამოიყენოს მთავარი ავტორის არა მხოლოდ კონკრეტული ნამუშევარი, არამედ ამ ნამუშევრის კონცეფცია, იდეა, არქიტექტურული ელემენტები, გამომსახველობითი ფორმა და სხვ. ასევე აქვს უფლება ეს ინტელექტუალური მასალა გადასცეს სხვა არქიტექტორს შემდგომი დამუშავებისთვის, ან ახალი შენობის დასაპროექტებლად.

ევროპასა და ამერიკაში საკონკურსო კონტრაქტებს შედარებით უფრო რბილი ხასიათი აქვთ ხოლმე, რადგან ზემოთ აღწერილი კონტრაქტის შინაარსი ხშირად აფრთხობს არქიტექტორებს.

საქართველოში ასეთი კონკურსების არაერთი მაგალითი გვაქვს, სადაც კონკურსის პირობებში მითითებულია, რომ მასში მონაწილეობა თავისთავად ნიშნავს საავტორო უფლებების უპირობო დათმობას და გადაცემას დამკვეთისთვის.

საწყისი არქიტექტორი(ნამდვილი ავტორი) ან დიზაინერი ინარჩუნებს ნებისმიერი სახის საავტორო უფლებას არქიტექტურულ ნაშრომზე, მაშინაც კი, როდესაც კონტრაქტორი იხდის ამ ნამუშევრის საფასურს.

სამშენებლო ბიზნესში ძირითადად, დამკვეთი, მშენებლობის ხელმძღვანელი ან კონტრაქტორი დებს კონტრაქტს არქიტექტორთან(დიზაინერთან). გადახდის მიუხედავად, თუ კონტრაქტი არ შეიცავს სხვა დამატებით სპეციფიკურ მოთხოვნებს, ავტორი ყოველთვის ინარჩუნებს საავტორო უფლებებს, ხოლო დამკვეთი უბრალოდ იღებს არა-ექსკულზიურ ლიცენზიას რის შემდეგაც მას შეუძლია გამოიყენოს მიღებული საპროექტო მასალა მხოლოდ იმ კონკრეტული ობიექტის ასაშენებლად. სხვა ნებისმიერი სახის ქმედება პროექტის

არქიტექტორს საბაბს აძლევს გამოიყენოს საკუთარი საავტორო უფლებები დამკვეთის წინააღმდეგ.
ასევე, დამკვეთს არ აქვს უფლება გაასხვისოს მის ხელთ არსებული საპროექტო მასალა ავტორის ჩარევის გარეშე.
როდესაც დამკვეთს გააჩნია ინტერესი პროექტის განსხვავებული სახით გამოყენების შესახებ, ის კონტრაქტში აუცილებლად უნდა დებდეს საკითხებს, რომლებიც ეხება სწორედ საავტორო უფლებებს. მსგავს შემთხვევებში, დამკვეთი პროექტთან ერთად ყიდულობს მასზე არსებულ საავტორო უფლებებს რის შემდეგაც იგი იძენს შესაძლებლობას ეს ნამუშევარი, გაყიდოს, გადააკეთოს(ან გადააკეთებინოს), გადასცეს დასამუშავებლად სხვა არქიტექტორს და ა.შ.

ცნობილი შენობა-ნაგებობების "მეორადობის" პრობლემა

ყველაზე თვალშისაცემია მსოფლიოში ცნობილი შენობა-ნაგებობების ასლების(წარმატებული თუ წარუმატებელი) მშენებლობა. მსგავსი მაგალითები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში გვხვდება, თუმცა განსხვავებულია მათი როგორც ხარისხი, ასევე დაპროექტებისა და აშენების მიზანი და ხასიათი.

მაგალითად, არაერთი განგებ მიმსგავსებული არქიტექტურული ნამუშევარი გვხვდება ლას-ვეგასში, მთავარ ბულვარზე, სადაც მდიდრულ კაზინოებს, სასტუმროებსა და გასართობ ცენტრებს მსოფლიოს ძველი და ახალი საოცრებების ასლები "ამშვენებს". აქ შევხვდებით პარიზის ეიფელის კოშკს, ეგვიპტის მთავარ სახე-სიმბოლოებს სასტუმრო ლუქსორის სახით, მანჰეტენის ცათამბჯენებს და სხვ. ისინი ახლა უკვე ლას-ვეგასის ძირითად ხასიათს ქმნიან და წარმოაჩენენ მას, როგორც ქალაქ-ატრაქციონს. სწორედ ამ ტერმინით მსურს, ხაზი გავუსვა ლას-ვეგასის, როგორც ურბანული ობიექტის დაბალ ღირებულებას. შესაბამისად, დიდი ყურადღების გამახვილება არ ღირს მასში არსებულ ასლებზე (მიუხედავად იმისა კანონიერად არის თუ არა ისინი შესრულებული).

სასტუმრო ლუქსორი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი კლასის გასართობ-დასასვენებელ კომპლექსს, შედგება ეგვიპტური ხასიათის ელემენტებისგან, როგორებიც არის სფინქსის ქანდაკება, მინის პირამიდა(ძირითადი შენობა), სფინქსების ალეა და სხვ. მისი მშენებლობა 1991-93 წლებში განხორციელდა, რის შემდეგაც ეგვიპტის მთავრობამ, სასამართლოს წესით, მოითხოვა ჯარიმის დაკისრება და სასტუმროს მოგებიდან ყოველწლიურად წილის მიღება, თუმცა საქმე ლას-ვეგასის "ლუქსორის" სასარგებლოდ გადაწყდა, ვინაიდან კომპლექსის არცერთი ელემენტი არ წარმოადგენდა ეგვიპტეში არსებულთა ზუსტ ასლს.

მეორე მაგალითად შეგვიძლია მოვიხმოთ დღევანდელი ჩინეთი. ამ სახელმწიფოში არქიტექტურა, ისევე როგორც სხვა მრავალი შემოქმედებითი დარგი, ორიგინალურობის სიმწირეს განიცდის. ჩინეთის ქალაქებში შეიძლება

წავაწყდეთ ევროპიდან, ამერიკიდან ან ავსტრალიიდან აღებულ არქიტექტურულ ძეგლებს, და არა მხოლოდ.

ჩინეთის აღმოსავლეთით, ჯეძიანის პროვინციაში არის დასახლება ტიანდუჩენგი, რომლის მშენებლობაც 2007 წელს დასრულდა. იგი პარიზის არაპირდაპირ ასლს წარმოადგენს და 10 000 მაცხოვრებელს იტევს. დამპროექტებლებს პარიზული ხასიათისა და ატმოსფეროს შექმნის მცდელობა ჰონდათ, თუმცა წარმოდგენაც არ ღირს თუ რა მიიღეს შედეგად. უხარისხოდ და არაპროფენიონალურად შესრულებული ფრანგული არქიტექტურის ელემენტები, შენობის ფასადები, ქუჩების მოწყობა და რაც მთავარია ეიფელის კოშკის უფუნქციო ასლი, რომელიც დასახლების ცენტრში, მინდორზე მდებარეობს. ლას-ვეგასისგან განსხვავებით, არ შემიძლია უაღრესად კრიტიკულად არ მივუდგე ამ არაჯანსაღი არქიტექტურის მსოფლიო მაგალითს, რომელიც არათუ ცალკეული ობიექტის, არამედ ქალაქგეგმარების დონეზე ჩადენილი დანაშაულია.

კომპილაცია - პრობლემა თუ დასაშვები ხერხი არქიტექტურაში

არქიტექტურულ პროექტირებაში კომპილაციად მოიხსენიება პროცესი, როდესაც ხდება სხვადასხვა არქიტექტურული ნამუშევრებიდან ცალკეული ელემენტების, დეტალების, ფორმების აღება და პროექტირებისას მათი გამოყენება.

ვფიქრობ, ცალსახად და გადაჭრით შეუძლებელია განვსაზღვროთ რამდენად არაეთიკურია ეს ხერხი. გამომდინარე იქიდან, რომ დღევანდელ დღეს ინფორმაციული ნაკადი უზარმაზარია, შესაძლოა ზოგჯერ გაუცნობიერებელი ზემოქმედების ქვეშაც კი მოექცეს შემოქმედი და მისთვის ინსპირაცია გახდეს რაიმე სხვა არქიტექტურული ნამუშევარი.

აგრეთვე რთულია 21-ე საუკუნეში(მაშინ როდესაც უკვე მრავალმა არქიტექტურულმა სტილმა გამოავლინა საკუთარი თავი) ყოველ ახალ ნამუშევარში ავტორმა ახალი ფორმებისა და ელემენტების ძიება სცადოს. მიმაჩნია, რომ მცირე დეტალების დონეზე, <u>კომპილაცია</u> ერთგვარად ბუნებრივი ხერხია არქიტექტორისთვის. თუმცა არ ვგულისხმობ ამ ხერხის უფრო დიდ მასშტაბებზე გამოყენებას, როდესაც საქმე ეხება შენობათა კომპლექსს. ცალსახად არასწორად მიმაჩნია სხვადასხვა არქიტექტურული ნამუშევრების ერთ კომპლექსად გაერთიანება, ან უკვე არსებული კომპლექსების დაშლა და მათი გადათამაშება სურვილისამებრ. როგორც წესი ასეთ შემთხვევებს ეფექტურ წინააღმდეგობას უწევს საავტორო უფლებების აქტი.